# სახალხო გაზეთი

№ 406 ხუთშაბათი, 22 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 406

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადების მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედ ციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: ... ლებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Г. зети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი“
სურათებიანი დამატებით
1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე
ღირს 3 მან. 20 კაპ.
ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . 80 კაპ.
ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი“. (п. я. 190)
რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

დ. ყვირილაში
„ორიენტის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა
„სახალხო გაზეთზე“. აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად


მწუხარებით თავზარდაცემული ეკატერინე ალექსანდრეს ასული ორლოვსკისა და ვაჟები მისნი: ნიკოლოზ და სერგეი, ასულნი: ეკატერინე დადიშქელიანისა და თამარა დანიელკოსი ულრმესის მწუხარებით აუწყებენ თანამოსამსახურეთ, ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ცხედარი პირველისა მეუღლისა, ხოლო დანარჩენთა—მამისა, სტატსკი სოვეტნიკ გზათა უწყების ინჟენერ

## ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ორლოვსკისა,

რომელიც ავაზაკთა ხელით ტრაგიკულად დაიღუპა მოვალეობის ასრულების დროს, მოასვენეს ოთხშაბათს, 21 სექტემბერს, საღამოს 4 საათზე ტფილისის სადგურზე, სადაც გადახდილ იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდის შემდეგ პროცესია გაემართა რომის კათოლიკეთა ეკლესიაში. ცხედრის გამოსვენება დღეს, ხუთშაბათს, 22 სექტემბერს, ნიკოლოზის ქუჩაზე. სამგლოვიარო პროცესია გაემართება ვორონცოვის ხიდით, ბარიათინსკის ქუჩით, გოლოვინის პროსპექტით, დავიდოვისა და სერგეევის ქუჩებით, საიდანაც მცირე პანაშვიდის შემდეგ მიასვენებენ ცხედარს რომის კათოლიკეთა სასაფლაოზე, სოლოლაკში, რომელსაც დაკრძალვენ საგვარეულო აკლდამაში. (1—1515—1)

ტფილისის მომხმარებელ საზოგადოების
## „მომავალი“-ს გამგეობა
ამით აცხადებს წევრთა და არა წევრთა საყურადღებოდ, რომ, რადგანაც 18 ამ თვეს მოწვეული კრება არ შესდგა, ამიტომ მეორეჯერ
### მოწვეულია საგანგებო კრება
25 ამ თვეს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში. განსახილველია ისევ ის კითხვები; კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. მსურველთ აქვე შეუძლიანთ წევრად ჩაწერა, იგინიც გადამწყვეტის ხმით ისარგებლებენ.
(3—843—1) საზოგადოების გამგეობა

სექტემბრის 20-დან
## იხსნება
ქ. ტფილისში
### ნოტარიუსის კანტორა
მიხეილ ლავრენტის ძის ქართველოვისა.
განოვის ქუჩა, სახ. № 4. (6—1509—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.
სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირალოვისა დ. ე—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., $10^{1}/_{2}$—11 ს.

დავითიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—$1^{1}/_{2}$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^{1}/_{2}$—1 ს.

ორჯონიკიძე ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოდოროვსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—565)

ოლღა ოქროპირის ასული სტრელიცკისა შვილებითურთ და ოლღა ნიკოლოზის ასული სტრელიცკისა უღრმესთ მადლობას სწირავენ ყველას, ვინც პირადად, წერილით თუ დეპეშით, გაიზიარა მათი მწუხარება პირველის—მეუღლისა, მეორეთა—მამისა და მესამის—ძმისა, ერევნის საოსტატო სემინარიის მასწავლებელ დეისტვიტ. სტატსკ. სოვეტნიკის სერგეი ნიკოლოზის ძის სტრელიცკის გარდაცვალებისა გამო. (1—842—1)

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და გავშვებ ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).
ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.822.5)

**ექიმი** ქალი კბილისა **ოლ. ელიზბარიშვილი-ჯანტურიასი** ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.
ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—33)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—144)

## მიიღება ხელის მოწერა
(მხოლოდ 15 ოქტომბრამდე)
### არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა მე-IV წიგნზე.
წერილები „ცნობის ფურცელ-მოამბიდან“ 1901—2 წ.
ხელის მოწერით ეღირება 45 კაპ. (გამოვა 300 გვ. მეტი).
ფოსტის ხარჯად 10 კაპ.

## მოდებისა და სამანუფაქტურო მაღაზია
## მ. გ. აბაშიძისა
თამამშევების ქარვასლაში, კომერციულ ბანკის პირდაპირ, №№ 27—28.
მიღებულია **დიდ-ძალი** საქონელი
მატყლისა, აბრეშუმისა და ბამბეულისა.
გვაქვს აგრეთვე მებელის პლუშები და სხვა მატერიები.
### ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია.
(10.1511.2)

## გორის ქალაქის საზოგადო სამმართველო
გორის მოქალაქეთა საყურადღებოდ ამით აცხადებს, რომ სექტემბრის 29-ს, დილის 11 საათზე, დანიშნულია სახლის პატრონთა კრება, ერთის რწმუნებულისა და 5 კანდიდატის ასარჩევად, იმათ მაგიერ, რომელნიც საგუბერნიო საკრებულომ არ დაამტკიცა. (3.1512.2)

ა. შ. ნშიაშვილის
## „შვების თავადი“
ფასი 60 კაპ.
„სახალხო გაზ.“ ხელის მომწერთათვის 40 კაპ.; იყიდება ყველგან.
საწყობი: ქართვ. ამხან. სტამბაში (ვანქის ქ., № 12) გამომცემელ მ. ნემსაძესთან. (10—9)

## ქ. გორში ქალთა სახელოსნო —სკოლა—
ელენე თარხან-მოურავის ხელმძღვანელობით. პირველ სექტემბრიდან ქ. გორში გაიხსნა ქალთა სახელოსნო სკოლა სამის წლის კურსით, სადაც ისწავლება ყოველგვარი ხელსაქმე, **ჭრა-კერვა** და **გაზმაქების კერვა**. აქვე მიიღება მოწაფე ერთის წლის კურსით, რომელიც შეისწავლის განსაკუთრებით ჭრა-კერვას. აგრეთვე იქნება საღამოს კურსები მოზრდილ ქალთათვის. მიიღება ყოველგვარი საკერავი ქალთა და ბავშვთა ტანისამოსისა. მოწაფენი მიიღებიან არა ნაკლებ თოთხმეტი წლისა. მიიღება მოწაფედ წერა-კითხვის არ მცოდნეც. მოწაფეებს იყვანენ ბინითაც. პირობების და პროგრამის გაცნობა შეიძლება პირადად და წერილობითაც. ადრესი: სამეფო ქუჩა, № 33. (10—1493—4)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
## =სამკერვალო სკოლაში=
სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს. საკერავის კლასებში არც ერთ განყოფილებაში ალაგი აღარ არის, მხოლოდ ჭრა-კერვის კურსებზედ შეიძლება მიღება მოზდილ ქალებისა (16 წლიდან 30-მდე). 15 სექტემბრიდანვე მიიღებენ შესაკერად კაბებს იაფად.—გაზაანის ქუჩა, № 3, ვერა. (5—1488—5)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. პასკოვ ქუჩა N 12 (—138)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს. მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

## ვასწავლი
ვასწავლი სიმღერა-გალობას (გუნდისთვის)
მიღება და ჩაწერა 20 ენკენისთვემდის.
მოწაფეებისთვის და მოხელეებისთვის სამშაბათობით საღ. 5—6 საათამდის. მუშებისთვის და ნოქრებისთვის კვირაობით დილის 8—9 საათამდის.
ადრესი; ავჭალის მოედანი № 11, სახლი ჩემოდანოვისა, მიხეილ კავსაძესთან. (15—1424—14)



(25—1456—17)

## სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის
განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება $9^{1}/_{2}$-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^{1}/_{2}$—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლობდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ხუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ისხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—99)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^{1}/_{2}$.

გ. ს. ხტანიშვსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^{1}/_{2}$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოდოროვსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით.**
(წლ.—1090—163)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
## მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—111)

დოქტორი მედიცინისა
## ი. ე. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათა სენების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნი ქ. სახ. N 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—2)

მედიცინის დოქტორი
## ი. გ. ჩუდნოვსკი
კიროჩნი ქ., სახ. № 13, ტელეფონი 1090 ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე დილის 9—11 ს. საღამოს 5—8 ს.-მდე. (20—1420—22)

**ექიმი მიხეილ ალაჯანოვი** სპეციალისტი საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებათა, დაბრუნდა, და განაახლა ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 1—4 საათამდე და საღამოს 7—9 ს.-დე. მიხეილის ქ., ტელეფ. 38, (10.1496.6)

**ექიმი ივ. გომართელი.** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილით 8—12 საათ. საღამოთი 5—7 ს.-მდე.
ვერაზე, ოლღას ქუჩა, № 20. (თ.—813—7)

**ექიმი ზ. ნ. მაზაკიანი** შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.). და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—30

**ექიმი ე. ი. მინასიანცი.** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.
ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—16)

**ექიმი** მედიცინისა **ვლ. ზრ. ბოჟოვსკი** საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა და ავადმყოფების მიღება განაახლა. შინაგან სნეულებათა წამლობა შთაგონებით. ავადმყოფებს ღებულობს ყოველ-დღე, კვირა-უქმის გარდა საღამოს 6—8 საათამდე კრილოვის ქუჩა N 7. (1—1454—6)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2— ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N სახლი გაბაშვილისა.

## კიდევ საქალაქო არჩევნების გამო
2.

მე მგონია, საკმაოდ ნათლად ხედავს ჩვენი მკითხველი რა იდუმალი გულის ზრახვა ამოძრავებს სომხის ნაციონალისტურ ბურჟუაზიას, რომელსაც ქართველების კანონიერ მოთხოვნას ნაციონალიზმად ჰნათლავს. ასევე ცხადი და ადვილი გასაგები არ არის პოზიცია ჩვენი „ინტერნაციონალისტებისა“. მართალია „თემი“ გვიხსნის „ინტერნაციონალიზმი“-ს მნიშვნელობას, მაგრამ მაინც ვერ გამოურკვევია, რაში უნდა გამოიხატოს ეს ინტერნაციონალიზმი საქმით, რანაირს გზას უნდა დაადგეს ქართველი ამომრჩეველი, რომ ეს ინტერნაციონალიზმი მართლაც განხორციელდეს. ეს კი წარმოსდგება იქიდან, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეებს—„მნათობსა“ და „თემს“ ვერ გამოურკვევიათ, რანაირ საზოგადოებრივ ჯგუფებთანა აქვთ საქმე, რანაირს იდეალებს ემსახურება თვითოეული მათგანი, ან რანაირი მნიშვნელობა ექნება მათს მოღვაწეობას მომავალისთვის. „თემს“, მაგალითად, ძალიან ბუნდოვანი წარმოდ-

გენა აქვს ყველა ამაზე. ერთის მხრით, სომხის ნაციონალისტები, მისი აზრით, თუმცა ნამდვილი ნაციონალისტები არიან, მაგრამ ამას ცხადად არ აშკარავებდნენ. ამ გარემოებას „თემი" დიდს მნიშვნელობას აძლევს, თუმცა არ გამოურკვევია, რითი სჯობიან დაფარული ნაციონალიზმი გამოაშკარავებულს. მეორეს მხრით, ქართველ ამომრჩევლებს ნაციონალისტებს ეძახის, თუმცა ვერც ის დაუმალავს, რომ ამათ რიცხვში დემოკრატებიც არიან, მერე ისეთი დემოკრატებიც, რომელნიც მის მფარველობის ქვეშ მყოფ „ახალ ჯგუფის" დემოკრატებს არაფრით ჩამოუვარდებიან. „თემის" აზრით, მსგავსება იმდენად დიდია, რომ ცალკე ჯგუფის დაარსება სრულიად მეტად მიაჩნია. მართალია ეს, მაგრამ „ახალ ჯგუფის" დემოკრატები მაინც უკეთესნი არიან, რადგანაც მათ მეტი გულწრფელობა ემჩნევათ, თუმცა არც ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფში მყოფნი დემოკრატნი არიან ამ ღირსებას მოკლებულნი. აი ამნაირ სუბიექტიურ მსჯელობითაა სავსე „თემის" წერილები საქალაქო არჩევნების შესახებ. გარკვეული, გარდაწყვეტილი შეფასება ამა თუ იმ საზოგადოებრივ ჯგუფისა არსად სჩანს. ამისთანა პირობებში რაიმე გარკვეულ სამოქმედო გეგმის შედგენა „თემს", რა თქმა უნდა, ვერ შეუძლიან. ის მუდამ ამ გამოურკვევლობის ლაბირინტში იტრიალებს და თავის დღეში სუბიექტიურ მსჯელობის საზღვრებს ვერ გასცილდება.

„თემზე" არა ნაკლებ გამოურკვევლობას იჩენენ მეორე ჩვენი მოწინააღმდეგენი. „მნათობსა" და მის თანამოაზრეებს დღესაც ვერ გამოურკვევიათ, რა თვისებისაა ის საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც ჩვენ ვებრძვით. ამ რამდენისამე ხნის წინად, როდესაც ჩვენს გაზეთში კამათი იყო ამავე საგნის შესახებ, „ახალი გზა" სწერდა, სომხის ბურჟუაზია ნაციონალურ პოლიტიკას არ აწარმოებსო. ისინი მხოლოდ თვალთმაქცობენ, ნამდვილად კი მხოლოდ ბურჟუაზიულ გულის ზრახვათა განხორციელებაზე ზრუნავენო. „უნდა გამოვტყდეთ,—სწერდა მაშინ „ახალი გზა",—ამ საქმეში ცოდვილნი ვართ. არა გვწამს ბურჟუაზიისაგან ეროვნულ ინტერესების დაცვაო". დღეს კი გვეფიცებიან, სომხის ბურჟუაზია ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებს და ჩვენს მოვალეობადაც ის მიგვაჩნია, რომ ამ პოლიტიკას შევებრძოლოთო. ესეც ერთი გაუგებრობაა, რომელიც „შეუძლებლადა ჰხდის სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა ობიექტიურ შეფასებას.

ჩვენს მოწინააღმდეგეებს რომ კარგად ჰქონდეთ გათვალისწინებული, რანაირს ნიადაგზე სდგას სომხის ბურჟუაზია, რანაირია მისი სოციალური მდგომარეობა, რანაირს მოქმედების გეგმას უკარნახებს მათ თვით ეს სოციალური მდგომარეობა, მაშინ ბევრი რამ, აქამდის გაუგებარი, გასაგები გახდებოდა. მაშინ მიხვდებოდნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, საიდან წარმოსდგება ის აზრთა სოლიდარობა, რომელზედაც ჩვენა ვსწერდით და რომელსაც ასე გაუცეცხლებია „თემი" და „მნათობი". „თემი" და „მნათობი" გვეუბნებიან, ჩვენ არაფერი საერთო არა გვაქვს სომხის ნაციონალისტებთან და ამიტომ რაღაც სოლიდარობაზე ლაპარაკი „სახალხო გაზეთი"-ს მხრით მხოლოდ დემაგოგობაა და სხვა არაფერიო. გეთანხმებით, ბატონებო, რომ ეს ასეა, რომ თქვენა და სომხის ნაციონალისტებს შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ აგვიხსენით ის უცნაური მოვლენა, რომ სომხების ნაციონალისტებს ძალიან ჰკუაში დაუჯდათ თქვენი ინტერნაციონალიზმი. სად არის დასაბამი ამ სასწაულისა? თუ ისინი მართლა ნაციონალისტები არიან, მაშინ თქვენს ინტერნაციონალურ პრინციპებს ვერას გზით ვერ მოიწონებენ გულწრფელად. თუ მიუხედავად თავის ნაციონალიზმისა, მაინც ქებითა და დიდებით იხსენიებენ იმათ, ვინც ინტერნაციონალურ პოზიციაზე სდგას, ცხადია, აქ გულ-წრფელობას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. ჩვენც მხოლოდ ეს აღვნიშნეთ, აღვნიშნეთ უცნაური ფაქტი აზრთა სოლიდარობისა. თუ ჩვენს მოწინააღმდეგეთ ჩვენი აზრების დარღვევა სურთ, უნდა დაგვიმტკიცონ, რომ ეს ასე არ არის. უნდა ცხად ჰყონ ყველასათვის, რომ მიუხედავად სომხეთა ნაციონალიზმისა, ისინი მაინც ინტერნაციონალისტები არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში უცნაური ფაქტი აზრთა სოლიდარობისა მაინც აუხსნელი და განუმარტებელი დარჩება. მაგრამ მოახერხებენ კი ჩვენი მოწინააღმდეგენი ამის დამტკიცებას? ძალიან საეჭვოა. ფაქტები იმდენად მჭევრმეტყველურად ჰლაპარაკობენ, რომ მათ წინააღმდეგ ვერავითარ საბუთის გამოძებნას ვერ მოახერხებენ.

ჩვენი მოწინააღმდეგეთათვის საიდუმლოებითაა მოცული ის მოვლენა, თუ რად მოსწონთ სომხის ნაციონალისტებს "თემი"-სა და „მნათობი"-ს ინტერნაციონალიზმი. იმის მაგივრად, რომ ამ მოვლენას ანგარიში გაუწიონ და ჯეროვანად დააფასონ, ჩვენ გვისაყვედურებენ, დემაგოგობითო. მაგრამ „ტფილ. ლისტოკს" რომ „მნათობის" აზრი მოსწონს, ეს ხომ დემაგოგობა არ არის, ეს ფაქტია. ასეთივე ფაქტია ის, რომ „ჰორიზონს" მოსწონს "თემის"-ს აზრი. რატომ არ გინდათ ამ გარემოებას ანგარიში გაუწიოთ? იმიტომ, რომ იგი ყირამალა აყენებს მთელს თქვენს არგუმენტაციას! ამას მდაბიოდ ხვრელიდან თავის დაძვრენას ეძახიან.

მაგრამ არა, „მნათობმა" ერთხელ სცადა ამ ჩვენ მოსაზრების დარღვევა და საბუთად ის მოიყვანა, რომ ხშირად სახელმწიფო სათათბიროში უკიდურესი მემარჯვენენი და მემარცხენენი ერთს პოზიციაზე სდგანან ხოლმეო. მართალია ეს, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ანორმალური მოვლენაა, რომელიც რუსულმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ წარმოშვა. ესეც რომ არ იყოს, იქ ცხადი ხდება, რანაირი მიზეზებიც იწვევს ამ გარემოებას. თუ გინდათ ეს მოვლენა საბუთად გამოიყენოთ, უნდა დაამტკიცოთ, რომ აქაც, საქალაქო საქმეებშიაც, ანალოგიური მიზეზები წარმოშობენ აზრთა სოლიდარობას, ეს კი ჯერ დამტკიცებული არ არის. თუ კარგად ჩაუკვირდებით საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობას, დაინახავთ, რომ სომეხ ნაციონალისტთა და ჩვენს ინტერნაციონალისტთა აზრთა სოლიდარობას იწვევს მხოლოდ ის ერთად ერთი გარემოება, რომ პირველთათვის მეორეთა პოზიცია სასარგებლოა. რამდენადაც ნაკლებად იქნება განვითარებული ნაციონალური გრძნობა ქართველ ხალხში, რამდენადაც ნაკლებად დაიცავს იგი თავის ნაციონალურ ინტერესებს, იმდენად უფრო თავისუფლად გაშლის ფრთებს სომხის ნაციონალისტური ბურჟუაზია, იმდენად უფრო მეტს პოზიციებს გაიმაგრებს.

„მნათობი" გვარწმუნებს, „სახალხო გაზეთი"-ს პოზიცია სომხების ნაციონალიზმს კააძლიერებსო. ესეც შემცდარი აზრია. უკიდურესად გაძლიერებულს ველარ გააძლიერებ. ის კი ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვენმა პოზიციამ გამოაშკარავოს და ფარდა ახადოს სომხების ნაციონალიზმს, ეს კი მავნებელი არ იქნება, ვინაიდან დაფარულ ბოროტებას გამოაშკარავებული სჯობიან.

არ. ჯ—შვილი.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **პანაშვიდი მ. თამარაშვილის სულის მოსახსენებლად.** გუშინ, 21 სექტემბერს, ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი იტალიაში უდროოდ დაღუპულ ისტორიკოსის, მღვდლის მიხეილ თამარაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო. სხვათა შორის, იყვნენ: წარმომადგენელნი—ქართველ თავად-აზნაურობისა მაზრის წინამძღოლის თავ. პ. ი. თუმანიშვილის მეთაურობით, საქართველო' საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, ქართულ პრესისა და დაწესებულებებისა. პანაშვიდზე სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა ლაზარე გოზალაშვილმა, რომელმაც ნათლად დაახასიათა განსვენებული და მისი მოღვაწეობა.

პანაშვიდის შემდეგ დამსწრეთ თათბირი ჰქონდათ, რომელზედაც დაადგინეს, აუცილებლად ტფილისში მოასვენონ რომიდან განსვენებულ მოღვაწის ცხედარი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა დაევალა საგანგებო კომისიას, რომლის წევრებიდანაც არჩეულ იქმნენ: მღვდელი მ. ანტონოვი, მღვდელი ლაზარე გოზალაშვილი, თავ. პ. ი. თუმანიშვილი, ა. ი. სარაჯიშვილი, ა. თ. ყიფშიძე, ი. პ. ისარლოვი, გ. ზ. ისარლოვი, გ. ნ. დიასამიძე, ვ. დ. ლამბაშიძე და თავ. გ. დ. ვეზირიშვილი. ამის გარდა დამსწრეთ სურვილი გამოსთქვეს, მოაწყოს საეთნოგრაფიო საზოგადოებამ რეფერატი მ. თამარაშვილის შესახებ, რათა ხალხმა დაწვრილებით გაიცნოს განსვენებულის ჩუმი, მაგრამ სასარგებლო და ნაყოფიერი მოღვაწეობა.

◆ **ახალი გამოგონება.** თავ. ირაკლი ვასილის ძე ბებურო-ვაჩნაძეს ერთგვარი წინდები გამოუგონია, რომლის შემწეობითაც ფეხის ოფლი ისპობა. ჩულქები ფეხის თითებზე ხელთათმანივით იცმება და თითები ერთი მეორედან განცალკევებულია. მას პრივილეგიის მისაღებად თხოვნა გაუგზავნია ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში. მაგრამ პასუხი მოსვლია, რომ მან პირადად უნდა იშუამდგომლოს, ან რწმუნებულება აქ მყოფ პირს გადასცეთ. გამომგონელს ს.-პეტერბურგის პროფესორ პ. სკოროდინსკისაგან მიუღია შეკითხვითი ფურცელი და „გამომგონებელის უბის წიგნაკი". მედიცინის დოქტორს რუდენკოს ძლიერ მოუწონებია ეს გამოგონება და მისგან „საქები ფურცელიც" მიუღია. ეხლა თავ. ბებურო-ვაჩნაძე პრივილეგიის მისაღებად პეტერბურგს მიემგზავრება.

◆ დაიბეჭდა და გამოვიდა ამიერ კავკასიის წვრილ კრედიტის მოღვაწეთა კრების შრომა, რომელიც შესდგა ტფილისში წარსულ გაზაფხულს. წიგნში აღნიშნულია მოქმედება დაწყებიდან 1911 წლის 1 მარტამდე.

◆ **კავკასიის შინა მრეწველობის ახალშენობას** მუშტაიდის ბაღში სექტემბრის ბოლო რიცხვებისათვის დაასრულებენ. ოქტომბრიდან კომიტეტი ახალ შენობაში გადავა.

◆ პოლ. სოვ. ვ. ი. გრეკოვმა გუბერნატორს სთხოვა, ნება მისცეს ტფილისში რუსულ ენაზე უფასო გაზეთი „რეკლამა" გამოსცეს, რომელიც კვირაში სამჯერ გამოვა.

◆ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ **ილია ჭავჭავაძის ძეგლის** სასარგებლოდ იმერეთის **ეპისკოპოზის გიორგისაგან 25** მანეთი მიიღო.

◆ **მიწადმოქმედ და მიწადმომწყობ მთავარ-გამგეობამ** კავკასიის რწმუნებულს აცნობა: სასურველია მეჭურჭლეობის ცოდნით ბლჭურვილი ხაზინის ხარჯით რამდენიმე ახალ გაზდა **გაიგზავნოს** პოლტავის გუბერნიის ქალაქ გლინსკის საინსტრუქტურო სკოლაში. ახალგაზდებს რწმუნებული აარჩევს.

◆ **საქალაქო არჩევნები.** ტფილისში დაარსდა სავაჭრო სამრეწველო ჯგუფი ამომრჩეველებისა; ჯგუფმა ბიუროს წევრებად ამოირჩია: ა. ნ. მილოვი, ს. ხ. სულხანოვი, ს. პ. მანველიანცი, ხ. ტ. აფრიკიანცი, მ. ი. მარტიროსიანცი, ა. ნ. ჯაგატიანცი, ა. ა. ენფიანჯიანცი, ი. ე. გაიდამაკინი.

## წვრილი ამბები.

◆ 16 სექტემბერს, სადამოს 9 საათზე, ტფილისის სტუსადო სახლიდან გაიქცა მავან მიხეილის ძე თჭანაზოვი, რომელსაც გუბერნატორმა სამის თვით დაპატიმრება გადუწყვიტა, თჭანაზოვი ბოდიცამ იმავე დღეს შეიპყრეს ქადაქის მეექვსე უბანში.

◆ 20 სექტემბერს, სადამოს 10 საათზე, ირაკლისეულ აბანოში უცებ ცეცხლი გაჩნდა, მაგრამ ჩქარა ჩააქრეს, ზარალი უმნიშვნელოა.

◆ 19 სექტემბერს, დილით, მიხეილის სააკადმყოფოში მიიყვანეს სუმბატ დანიელის ძე აჯი-მამედოვი, რომელიც სამთვრალის დროს რუში ჩავარდნილიყო და მძიმედ დაშავებულიყო. აჯი-მამედოვი იმავე დღეს გარდაიცვალა.

◆ 20 სექტემბერს სხვადა სხვა ჩხრეკა-დაპატიმრების დროს ტფილისში 26 მათხოვარი და ავაზაკი შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები.

◆ 21 სექტემბერს **დეპუტატთა საკრებულომ დაადგინა:** სამამულო კომისიის გამგეობაში მყოფ საგანგებო თანხიდან ქართ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას პირველ იანვრამდე ტფილისის გუბერნიაში საგრონომიო ორგანიზაციის მოსაწყობად, 5000 მანეთი მისცეს.

◆ **საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება გუშინ წინ საღამოს 8 საათზე შესდგა ე. ს. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ მოისმინა მოხსენებანი ე. თაყაიშვილისა და ს. გორგაძისა ამ ზაფხულს მოგზაურობის შესახებ. კრების დასასრულ ახალ წევრების არჩევნები მოხდა.

## სასწავლებლებში

◆ **სამასწავლებლო ინსტიტუტთან** პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთათვის 19 სექტემბერს საღამოს კურსები გაიხსნა. კურსებზე სულ 15 კაცია. ამათში 5 რუსი, 4 ქართველი, 3 სომეხი, 1 ბერძენი 1 ოსი და 1 ნემეცია.

## სასამართლო

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია**, რომელიც ახალციხეში იყო წასული საქმეების გასარჩევად, ტფილისში დაბრუნდა.

20 სექტემბერს ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა განყოფილების სესია სიღნაღს გაემგზავრა, სადაც 30 სექტემბრამდე დაჰყოფს.

## რკინის გზა

◆ **სად. რიონი.** ბათომის გზაზე 20 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათსა და 30 წუთს ქუთაისსა და რიონს შუა, სამგზავრო მატარებელში № 29, ორი შეიარაღებული უცნობი **თავს დაესხა** მგზავრს ჯაფარიძეს, რომელსაც 2290 მანეთი წაართვეს. შემდეგ მიმავალ მატარებლიდან გადახტნენ სროლით და სალორიის ტყეში მიიმალნენ. ბოროტმოქმედთა შესაპყრობად ენერგიული ზომებია მიღებული.

## ბათომი

◆ სამხედრო გუბერნატორმა **დაამტკიცა** ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზე ე. კრინიცკი და მდივნის ს. მესხი.

## ჭიათურა

◆ შაბათს, 24 ამ თვეს, დანიშნულია **საღამო** დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ 19-ში **სადგურ რიონზე** ბოროტგამზრახველებს **გაუცარცვიათ** პაპავას კანტორის მსახური ჯაფარიძე და წაუღიათ 2509 მანეთი.

## პროვინცია

◆ **სოფ. დამბალეთი** (გორის მაზრა) ვასიკო ხარებაშვილი სოფ. არაბეთიდან მთვრალი დაბრუნდა და სახლის ეზოში საქონლის საკლავ დანით საქალამნე ტყავსა სჭრიდა. მისი სამი წლის შვილი ეზოში წაიქცა და სტიროდა. ხარებაშვილი წამოხტა მისაშველებლად. მაგრამ თითონვე ფეხი წამოჰკრა ქვას, წაიქცა და ისე ღონივრად დაეცა დანაზე, რომ ნაწლავები გადმოსცვივდა. დაჭრილი იქვე გარდაიცვალა.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში შემდეგი კორექტურული შეცდომები შეგვეპარა: 1) მეთაურის პირველ სვეტში, ქვევი-

# გერმანელთ ახალშენები ამიერ-კავკასიაში

## 2) წარმოება კოლონიებში:

ა) მევენახეობა; ვენახების სანახაობა და მათი დამუშავება. ბ) მეღვინეობა; ღვინის დაყენების წესი. გ) საელექტრონო სადგური და ელექტრონის ძალის მოხმარება სხვა და სხვა ქარხნებში (სადურგლოსა, სამჭედლოსა საბოჭკისა და საფურ-გუნეში.) დ) მადნეულტობის სადნობი ქარხანა: გაკეთება და შეკეთება სამეურნეო იარაღისა.

მოახალშენეთა ცხოვრების უმთავრესი წყარო ღვინის დაყენებაა. ამისათვის ვაზის გაშენებას და ვენახის მოვლას უმთავრეს ყურადღებას აქცევენ. ვენახები გერმანელებს ერთ ალაგას აქვთ შეჯგუფებული. მთელს ვენახებს საერთო გალავანი აქვს შემოვლებული. უცხომ რომ შეჰხედოს, ეგონება, ერთი ვენახიაო. ერთი ვენახი მეორისაგან პატარა კვალით იყოფა, ვენახებს საერთო გზა ჩამოუდის, რომელზედაც ფურგუნებს შეუძლიან სიარული, გზა კარგია და, სადაც საჭიროა, ცემენტის კოხტა ბოგირებია გაკეთებული. ახალშენის ვენახები სიგრძით ათ ვერსამდე იქნება, სიგანით კი ზოგგან სამ ვერსამდეა, ზოგგან—ნახევარი ვერსიც არ იქნება. ამოდენა ვენახებს მხოლოდ ოთხი კაცი ჰყარაულობს. ყარაულები ვენახებს ცხენებით გარს უვლიან. ვენახებს დარაჯობა უნდაო იმისთვის, რომ თათრები იპარავენ ხოლმე ყურძენს. თვით გერმანელებმა ქურდობა არ იციან. რთველს ყველანი ერთსა და იმავე დროს იწყებენ.

ვენახები ძალიან კარგი ნაკეთებია. მთელ კავკასიაში ამისთანა კარგად ნაკეთები ვენახი არსად არ მოიპოვება. ვენახს განუწყვეტლივ რწყავენ, ზამთარშიაც კი. გერმანელი ვენახში გამუდმებით მუშაობს. გაზაფხულდება თუ არა, გერმანელები ქირაობენ სპარსელებს და ვენახებს აბარვინებენ, ამასთანავე ვენახს სასუქს (პატივს) აყრიან. ვისაც სასუქი არა ჰყოფნის და სასყიდლადაც ვერ უშოვია, იგი მთის ფერდობებზე და სხვა ნოყიერ ალაგას სთხრის ზედაპირს (შავ მიწას) და პატივის ბადლად ვენახს აყრის. ამ მოვლის გამო, ვაზი ძალიან ღონიერია. თუ ჩვენში საყურძნედ ერთ რქასა ვღუნავთ, გერმანელები ორ რქასა ჰღუნავენ, და ერთი ვაზიდან რამოდენიმე ფუთი ყურძენი ჩამოდის. ჩვენში დესეტინა იძლევა ასს ან ორას ვედრო ღვინოს, ახალშენებში ერთი დესეტინა რვაას ვედროზე მეტ ღვინოს აძლევს.

გაზაფხულზედვე გერმანელები შავი ყურძნის ყვავილს აბერტყამენ გარეულ ვაზის (კრიკინის) ყვავილის მტვერს. კრიკინის ყვავილი თათრებს ჩამოაქვთ მთიდან და გირვანქას ექვს შაურად ჰყიდიან. თუ კრიკინის ყვავილის მტვერი არ დავაბერტყეთ შავი ყურძნის ყვავილსაო,—ამბობენ გერმანელები,—ძალიან წვრილ-მარცვალა და ცოტა ყურძენი მოდისო.

რადგანაც ახალშენის ახლოს ტყე არ არის, საცა ჰიგოს მოჭრა შეიძლებოდეს, ამისათვის თავისუფალ და ვენახისათვის გამოუსადეგარ ალაგებში გერმანელებს თითონ მოჰყავთ ეკლის (აკაციის) ხეები. ეკლის ხე ძალიან მარდათ იზრდება და მაგარიც არის. სამი წლის ეკლის ხეს უკვე ჰიგოზე აჭრავენ წნორის (ტირიფის) ტოტებით. შემოდგომაზე სჭრიან წნორის ტოტებს და ზამთარში მიწაში ინახავენ. გაზაფხულზე წყალში ალბობენ, წნორის ტოტები რბილდება და ლვედივით იხრება და ამ რიგად ხმარობენ იმას ვაზების მისაბმელად. ვენახებს გერმანელები ისევე სწამლობენ, როგორც ჩვენში, მოვლით კი უკეთესად უვლიან. მაგალითად, ვაზის ფოთოლს ერთი რაღაც ჭია ჰყოლია, რომელიც ვაზის ფოთოლს ახვევს და შიგ თესლსა ჰყრის. ამის გამო ვაზს ფოთოლი უხმება. გაიგებენ თუ არა გერმანელები, რომ ეს ჭია გაჩნდაო, მაშინვე ყველანი, დიდი და პატარა, ვენახებს მოედებიან. ყველას ხელში ნავთით სავსე კოლოფი უჭირავს. თვითეულ ვაზს უშინჯავენ ფოთოლს, როცა ამ ჭიას იპოვიან, დაიჭერენ და ნავთში აგდებენ. ასე დაბეჯითებითი ვენახის მოვლა საადვილოა კიდევ იმისთვის, რომ ვაზები ვენახებში რიგზეა ჩამწკრივებული. ჩვენში არ შემხვედრია, რომ თვითეული ვაზის ფოთოლი გაეშინჯოთ და შიგ ჭიები ეძებნოთ. ვაზები გერმანელებს მარტო კახეთის ჯიშისა აქვთ. რადგანაც ახალ შენობაში ჯერ ფილოქსერა არ გაჩენილა, ვენახებიც დაუჰყნელი აქვთ.

დადგება თუ არა ყურძნის დაკრეფის დრო, სასწავლებლები ორის კვირით იკეტება, და დიდი-პატარა სუყველა ვენახში მიდის. ამ დროს ძალიან ძვირია მუშა ხელი, პატარას კი იმდენისავე დაკრება შეუძლიან რაც დიდს. გერმანელები თავისის ოჯახობითა და მუშებით მოედებიან ვენახებს. ყველას ხელში პატარა კალათა უჭირავს. აქა იქ კი დიდრონი კალათები დგას. ხელის კალათიდან ყურძენს დიდ კალათაში ჰყრიან, შემდეგ დიდი კალათები იქავე ფურგუნთან მიაქვთ. ფურგუნებზე კი დიდრონი ბოჭკები (ჩანები ანუ კოდები) ალაგია, ყურძენს ამ ბოჭკებში ჰყრიან და შემდეგ დასაწურავად მიაქვთ. ყურძნის დასაწურად ორი მუშაა საკმარისი. ყურძენს ჩვენებურად ფეხებით კი არა, მანქანით სწურავენ, რომლის ჩარხსაც ჯერ-ჯერობით ორი მუშა ატრიალებს. ყურძნის წვენი დასაწურავ მანქანიდან დიდ დია ბოჭკებში (ჩანებში) ჩადის, საცა დედას აძლევენ. შემდეგ ღვინოს შესანახად სარდაფის ბოჭკებში იღებენ. ღვინის გადაღებ-გადმოღება სასრუტავ მანქანის საშვალებით ხდება, და ერთი წვეთიც კი არ იღვრება. გერმანელები ღვინოს არაფერს არ ურევენ და ისე თავანკარს ჰყიდიან. გერმანელების ღვინო მდარეა, და კახურ ღვინოს ძალიან ჩამოუვარდება.

ჭაჭას ჯერ მანქანით ჰჭაჭავენ, რომ მთელი წვენი გამოუვიდეს, შემდეგ კი არაყადა ჰხდიან. გერმანელების არყის სახდელი ნამდვილი ქარხანაა. არყის სახდელი საზოგადოა, სასოფლო და ძალიან გაუმჯობესებულიც. ათამდე არყის ქვაბი სდგას და ყველას ერთი მაზუთით გასახურებელი აქვს. ყველას თავისი ჭაჭა ჯერით მოაქვთ ქარხანაში გამოსახდელად. არყის სახდელ ქარხნის ქვეშ დიდი სარდაფია, სადაც არყის შესანახი ბოჭკები სდგას გამოხდილი არაყი ჯერ არყის საზომავში ჩადის, იწყვება და იწერება, ვის რამდენი არაყი გამოუვიდა, შემდეგ არაყი გადადის დიდ ბოჭკებში და იქ ინახება. სულ ყველას არაყი ერთმანეთშია არეული. ჭაჭის პატრონს შეუძლიან მხოლოდ ერთი ვედრო არაყი წაიღოს მუქთად. დანარჩენი არაყი კი ერთბაშად იყიდება და ჭაჭის პატრონებს ფული უბრუნდებათ. არაყს მეტ ნაწილად ყიდულობს შუსტოვი, სარაჯიშვილი ან ფორიერი.

გამონახადი ჭაჭა ტყუილად როდი იკარგება. მას სასუქად ვენახებს აყრიან, ისე რომ ვენახს უკანვე უბრუნდება ის, რაც მას წაართვეს, და გასაკვირველი არ არის, თუ გერმანელთა ვენახები კარგ მოსავალს იძლევა.

თუმცა გერმანელთა ცხოვრების უმთავრესი წყარო ვენახია, მაგრამ ამის გარდა, ყოველმა გერმანელმა რაიმე ხელობაც იცის. სკოლის გათავების შემდეგ, ბავშვი, ხელობას სწავლობს: დურგლობას, მებოჭკეო-

დან 24 სტრიქონში სწერია: „ფაქტებით გატენილმა გუდამ“..., უნდა იყოს: აფექტებით გატენილმა გუდამ“. 2) ბიბლიოგრაფიაში: მეორე სვეტის 34 სტრიქონში სწერია: „წიგნების გარჩევაში“, უნდა იყოს „წიგნების გამოწერაში“. იქვე, 45 სტრიქონში სწერია: „ახლად გამართულ“, უნდა იყოს „ახლად გამოსულ“, მესამე სვეტის 9 სტრიქონში სწერია: „ბალახი“, უნდა იყოს „თივა“.

## ქუთაისის ვითარება

სილოვანი და ქართული გიმნაზია ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ვისაც კი ქუთაისში მცირე ხანს მაინც უცხოვრია, უერთმანეთოდ ვერც კი წარმოიდგენს. სილოვანმა მთელი თავისი ახალგაზრდობა ამ სასწავლებელს შეალია, ამ სიტყვის ნამდვილის აზრით. ამავე სილოვანმა ქართული ენის სწავლებას გზა გაუკვლია და ქართულ გიმნაზიაში ეს საგანი სამაგალითოდ დააყენა. და, აი, ამისთანა კაცს ეუბნებიან—სამსახურიდან გადადგომა ითხოვეო.

რისთვის?—იკითხავს გაკვირვებული მკითხველი. იმისათვის, ჩემო მკითხველო, რომ სილოვანმა წარსულ კვირას გაზეთ „კოლხიდაში“ წერილი დასტამბა, რომელშიაც „წინამძღოლთა“ პიროვნებანი დახასიათა. ამ დახასიათებამ გააცეცხლა აზნაურთა წრეები და სილოვანის დათხოვნას ითხოვენ.

„კოლხიდაში“ დასტამბულ სილოვანის წერილს შეიძლება დაეთანხმოთ ან არ დაეთანხმოთ, მაგრამ ამ დასკვნამდე მისვლა, რაც უნდა აღელვებული იყოს თ. აზნაურთა წრე, სრულებით არ მესმის.

ვთქვათ, სილოვანმა გადააჭარბა და თ. აზნაურთა წინამძღოლები უჯადრისად არ უნდა მოეხსენებინა, მაგრამ ამისთვის შურის ძიება მის დათხოვნაში უნდა გამოიხატოს?! არ მესმის არც ის, რომ თ-დ დავით ნიჟარაძეს უსურვებია თვით გიმნაზიაში მისვლა და იქ, მოსწავლეთა წინაშე, გულის წყრომის გამოცხადება.

შეურაცყოფილთ მრავალი საშუალება აქვთ გულის წყრომის გამოსახატავად და სიმართლის აღსადგენად. მაშ, რათ დასჭირდათ, ის რეპრესიები, რომელსაც სხვა დროს თვითონვე ჰგმობენ?! **Pique.**

## მეთვალყურის შენიშვნები

10.

**ქართველების ახალშენი ხოფლები ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან.**

ქართველების ახალშენები ჩვენი გლეხების იმ ელემენტებ საგან შესდგება, რომელთაც თავის საკუთარის გამბედაობით, გამჭრიახობითა და გარჯით შესძლეს კარზე მომდგარ შიმშილისაგან თავის დახწევა.

ამათ უკუაგდეს ქართველი გლეხის ჩვეულებრივი შიში, ერთი ალაგიდან მეორეზე გადაბარგებისა, რათა თავის კერას და ხატებს უკანვე არ მოეკითხათ და თავის ქუდი-ნაბდით ჩვენის ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში გადმოიხვეწნენ.*)

არ მოერიდნენ არც უსახსრობას, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ მათ, სხვებსავით სამგზავრო ფულებს და მუქთად მიწებს არავინ დაურიგებდა; იცოდნენ ისიც, რომ მიწის შეძენის გარდა, პირველ ხანებში, საჭირო იყო აგრეთვე ახალ ადგილას ოჯახის მოსაწყობი სახსარი და სამუშაო იარაღის შესაძენად საჭირო ფული, რომლითაც ასე უხვად აჯილდოებენ ხოლმე სხვა გადმოსულთ. ერთი სიტყვით, იცოდნენ და კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი ყველა ის გაჭირვება და დაბრკოლებანი, რომელიც აუცილებელი რამაა ამგვარ შემთხვევაში საერთოდ და განსაკუთრებით კი ჩვენი გლეხისთვის, მაგრამ მათ მაინც შესაფერი გამჭრიახობა და გაბედულობა გამოიჩინეს, დაანებეს ძველ ადგილ-სამყოფს თავი, გაუდგნენ გზას, როგორც იყო ადგილ-მამულიც შეიძინეს და კიდევაც მოეწყვნენ თუ უკეთ არა, იმასთან შედარებით, ვისაც ათასობით მფარველობენ, ნაკლებ მაინც არა.

დღეს ესენი უმთავრესით თითქმის უზრუნველ-ყოფილნი არიან; მიწა შეიძინეს და უმთავრესს შემთხვევაში ძალიან კარგის თვისებისაც; მაგრამ რაც გინდ მოსავლიანი იყოს მიწა, მისი მოსავლიანობა ბევრ ხანს არ გასწევს. ამისათვის საჭიროა არა მამა-პაპური საშუალებანი დამუშავებისა, არამედ ახალი, რომელიც ადამიანს მარტო ბუნების კი არა, არამედ თავისის ცოდნისა და მოხერხების ანაბრადაც ხდის. და აი სწორედ ამ შემთხვევაში ჩვენი ახალშენელები მოისუსტებენ; მაგრამ მოისუსტებენ არა იმიტომ რომ მათ უნარი აკლდეთ, რა ჰქნან, როდესაც კარზე ასეთი აუცილებელი ხარჯები აქვს მომდგარი, როგორც არის ბანკის ვალი, მას გაუმჯობესებულად მიწის დამუშავებაზე ფიქრსა და ზრუნვას ვერ მოვთხოვთ; ვერ მოვთხოვთ რომ მან თავის გონების განვითარებაზე—სწავლა განათლებაზე იზრუნოს, რადგანაც მათ უკვე გააკეთეს ის, რის გაკეთებაც სხვებისათვის შეუძლებელი იყო; ამ შემთხვევაში ესენი ღირსნი არიან, როგორც ჩვენი გლეხობის თაოსნობის მქონე ნაწილი

*) ვგულისხმობ განსაკუთრებით კახეთის ახალშენებს.

ბას, მჭედლობას, მღებრობას და სხვას. ყოველ ოჯახში მოიპოვება სადურგლო იარაღი, და თავისუფალ დროს გერმანელი თავის სადურგლოში მუშაობს. ხელოსნობაში გერმანელს ვერავინ ვერ შეედრება.

გერმანელი თუმცა თითონ მუშაობს, მაგრამ იგი არც ბუნების ძალას სტოვებს მუქთად. ახალშენს გვერდზე პაწაწა მდინარე, განჯა ჩამოუდის. ამ მდინარეს ამუშავებინებენ ჯერ ერთი წისქვილის ბორბლებს, მეორე—ელექტრონის მანქანებს. ელექტრონის ძალი გერმანელებს თითქმის მუქთად უჯდებათ, და ამისათვის ახალშენში ელექტრონით განათებული სახლი ხშირია. ელექტრონით განათება ნავთზე იაფად უჯდებათ. მაგალითად, იმისთანა ლამპა, რომლის მნათებლობაც თექვსმეტი სანთლის სინათლეს უდრის, თვეში ოთხ აბაზად ღირს. განათების გარდა, გერმანელები ელექტრონს მამოძრავებელ ძალადაც იყენებენ, მაგ. დურგლები ელექტრონის ძალით ფიცრებსა ხერხავენ, აშალაშინებენ; მებოჭკეები საბოჭკე ფიცრებსა სთლიან ელექტრონის სათლელით, ფურგუნის მკეთებლები, ზეინკლები, ერთი სიტყვით ყველა სახელოსნოში ელექტრონის ძალას იყენებენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთები უთოსაც კი ელექტრონით აცხელებენ. აფთიაქში წყლის ასადუღებელი ფინჯანი აქვთ. ელექტრონის შემწეობით სულ რამდენიმე წამში ადუღებენ წყალს. ამგვარად ელექტრონის ძალას ბევრნაირად იყენებენ.

მეორე ალაგი ელექტრონის შემდეგ მებოჭკეობას უჭირავს. თუმცა ყოველმა გერმანელმა მებოჭკეობა იცის, მაგრამ თავის ცოდნას გერმანელი მხოლოდ ძველი ბოჭკების შეკეთებაში იყენებს. დიდი ბოჭკების გასაკეთებლად კი დიდი ქარხანაა საჭირო, და გერმანელებსაც ეს დარგი ხელოსნობისა საუკეთესოდ აქვთ დაყენებული.

გერმანელთა წარმოებაში მესამე ალაგი ფურგუნების გაკეთებას უჭირავს, ახალშენებში გაკეთებული ფურგუნი იმისთანა მკვიდრი და კარგია, რომ სხვა გუბერნიებშიაც გააქვთ. ამის გარდა ახალშენში არის კრამიტის და აგურის ქურახანები და ერთი მადნეულობის სადნობი ქარხანა. ამ ქარხანაში შეაკეთებენ ხოლმე სოფლის სამეურნეო იარაღს, გარდა ამისა ღვინის გადასაღებ მანქანებსაც აქ აკეთებენ.

**გ. ბურჭულაძე.**

(დასასრული იქნება).

## არჩილ ჯორჯაძის მე-IV წიგნის ხელის მომწერთა საყურადღებოდ

რადგანაც სრულებით მოულოდნელად მეოთხე წიგნი (წერილები „ცნობის ფურცელ“-მოაამბიდან“ 1901—2 წ.) ნავარაუდევზე ბევრად უფრო მეტი ზომისა გამოდის (300 გვ. მეტი), ამიტომ იძულებული ვართ ამ წიგნის ხელის მოწერის ფასს წავუმატოთ 10 კაპ. და ხელის მოწერის ვადაც გადავდოთ 5 ოქტომბრამდე. იმედი გვაქვს ხელისმომწერნი არ დაგვემდურებიან შუა-ხელის მოწერაზე ხელის მოწერის პირობების შეცვლას. ამნაირად **მე IV წიგნი ხელის მოწერით ეღირება 45 კაპ.** და ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს ფოსტის ხარჯად უნდა წარმოადგინოს 10 კაპ. (3—2)

და მათთვის მაგალითის მიმცემი, რომ ჩვენ საზოგადოების შეგნებული ნაწილი დაეხმაროს მათ წასახალისებლად მაინც, როგორც შესაფერ სამეურნეო ცოდნის შეტანით, ისე შესაფერ სასწავლებლების დაარსებით, რადგანაც ზოგიერთი ახალშენს სოფელში თუ დროზე შესაფერი სასწავლებელი არ გაიხსნა, გარეშე პირობები გადაგვარების გზაზე დააყენებენ.

ჩვენ შეგნებულ ნაწილად აღნიშნულ საჭირო დახმარების შემძლეთ ჩვენ მიგვაჩნევია ამ ნაწილისაგან შემდგარი ორგანიზაციები: ქართ. სამ. საზ. და ქ. შ. წ.-კ. ს. და ჩვენი წერილიც სწორედ მათი საყურადღებოდ არის დაწერილი და იმედია, ესენიც უყურადღებოდ არ დასტოვებენ, რადგანაც აქ აღნიშნული საჭირო დახმარება მათ პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს. **მრთველი.**

## ბაქოს ამბავი

ჩვენმა საზოგადოებამ როგორღაც მიიძინა. ამ გარემოებას ჩვენ პირდაპირ ვაკავშირებთ იმასთან, რომ მიიძინა თვით ორგანომ, რომელიც აცოცხლებდა და ასულდგმულებდა საზოგადოებას—მისმა გამგეობამ. ჯერ იყო და, ისევ გაზაფხულზე, გამგეობისა და საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. მიხეილ თაქთაქიშვილმა მოულოდნელად უარი განაცხადა საზოგადოების სამსახურზე. მიზეზად ავად მყოფობა და ნერვების მოშლილობა მოიყვანა.

მას მიმბაძველები ბევრნი გამოუჩნდნენ და საქმე იქამდე მივიდა, რომ უკანასკნელ კრებას თერთმეტიდან ხუთი კაციღა დაესწრო. საზოგადო საქმეები-კი დღითი დღე მატულობს და იზრდება.

ილაჯ-გაწყვეტილმა გამგეობამ დაადგინა მომავალ კვირისთვის საზოგადო კრება მოიწვიოს, საქმის აწინდელ მდგომარეობა მოახსენოს და ახალნი მუშაკნი აარჩევინოს იმათ მაგიერ, რომელთაც სამსახური აღარ ისურვეს.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ რაღაც უიმედობისა და გულ-გატეხილობის ნიავმა დაჰბერა ბაქოს ქართველობას. სამისო-კი, სწორე მოგახსენოთ, არა მომხდა-რა.

მართალია, ბევრი დიპლომიანი ქართველი არა ქართველობს და ახლოც არ ეკარება ქართულ სქმეებს, მაგრამ, აბა მითხარით, როდის იყო ისეთი დრო, რომ საქართველოს სრულებით არა ჰყოლოდეს მახინჯი და გადაგვარების მოტრფიალე შვილები, ეს გარემოება არც გასაოცარია და არც არავის უნდა გულს უტეხდეს.

ქართველთა სახლი შენდება და ორის თვის შემდეგ ყველა ჩვენს კულტურულ დაწესებულებას იქ იქნება ბინა. პირველად განზრახული ხარჯი 10,000 მანათი არა კმარობს. 2000 მანათი ზედ-მეტი იხარჯება. ეს ხარჯიც იკისრა იმავე გულუხმა შემომწირველმა ბ-ნმა იაკობ მანსვეტაშვილმა. ჯერ-ჯერობით სხვა შემოწირულება არსაიდან სჩანს, თუმცა დაპირება და მოლოდინი მრავალია.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ერთი რამ, რომელსაც, რასაკვირველია, შემთხვევითი ხასიათი აქვს. როდესაც მანსვეტაშვილმა 10 ათასი მანათი შესწირა ქართულ საქმეს, ნავთის ფასი ფუთზე 14 კაპ. იყო ამ დღიდან კი ფასმა აიწია და დღეს 32-დე ავიდა. ამ რიგად, თუ ერთის კუთხიდგან მის საცხოვრებელს მოაკლდა ცოტაოდენი, ბედმა დანაკლისი მეორე კარიდამ ათასობით აუნაზღაურა.

სასკოლო სახლის კურთხევა გადიქცევა ეროვნულ დღესასწაულად და, იქნება, იმ მომენტმა კვლავ გამოაღვიძოს დღეს მიძინებული ეროვნული გრძნობა. **მ. ნახიძე.**

## ხმა ფოთიდან

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფოთს ვერ ვუსაყვედურებთ სასწავლებელთა დაარსების საქმეში, მხოლოდ დღევანდელ სასწავლებლის კარი, უმეტეს შემთხვევაში, შეძლებულთათვის არის ღია.

ავილოთ ჩვენი საშუალო გიმნაზიები. გიმნაზიაში სწავლის დამთავრებას, როგორც ჩვენმა თანამედროვე ცხოვრებამ დაგვანახვა, ვერაფერი ნაყოფი მოაქვს, თუ მოწაფე უმაღლეს სასწავლებელში არ შევა. გიმნაზიები და სხვა მისი მსგავსი სკოლები მჭიდროდ არის დაკავშირებული უმაღლეს სასწავლებლებთან და ხელმოკლე ხალხისთვის მიუწდომელია.

როგორც ყველგან, ისე ფოთის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობაც, ღარიბ ხალხისაგან შესდგება. საზოგადოების ღარიბმა ნაწილმა შეიძლება, და ისიც დიდი ვაი ვაგლახით, თავიანთი შვილები პირველ დაწყებითი სახალხო სკოლებში „ალზარდონ“ და თუ რა შერჩებათ მათ ასეთი ტიპის სკოლებიდან, ამაზე ლაპარაკი მეტია.

აქ არსებობს სამოქალაქო სკოლაც, რომელნიც, რასაკვირველია, მხოლოდ ღარიბები სარგებლობდნენ. აქ მათ საკუთარ ტეხნიკის ხელმძღვანელობით შეეძლოთ, ცოტად თუ ბევრად, ხელოსნობა შეესწავლათ. ხსენებულ სკოლის ინსპექტორმა ბ. მიტროფანოვმა ყურადღება მიაქცია სახელოსნო განყოფილების დიდ სარგებლობას და მის გაუმჯობესობაზე აღძრა საკითხი. ქალაქი, როგორც ყოველთვის სწავლა აღზრდის საქმეში, ისე ამ საკითხსაც მხურვალედ დაუხვდა და ხაზინის შემწეობით შეეძლო დაბალი ტიპის სახელოსნო სკოლის აგება. დღეს უკვე აგებულია ორი მშვენიერი ქვის შენობა: ერთი ორ სართულიანი, სადაც მოთავსებული იქნება თვით სახელოსნო და მეორე—სამ-სამ სართულიანი, რომელშიაც ბინა ექნებათ მასწავლებლებს. შენობა თითქმის მზათ არის და 10 სექტემბერს კიდეც აკურთხეს. პარაკლისის შემდეგ ქალაქის თავის მოადგილემ ბ. მეუნარგიამ მოკლე სიტყვით მიმართა საზოგადოებას და ქალაქის სახელით მადლობა გადაუხადა ყველა იმ პირთ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სკოლის აგებაში. შენობის აგება ქალაქიდან აღებული ჰქონდა ბ. გიორგი საბახტარიშვილს, რომელიც პირად სარგებლობაზე უფრო საზოგადო საქმეებს ესწრაფის და რომელიც მუდამ მზათ არის მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ყოველ კეთილ საქმეში.

ეს ორი ლამაზი შენობა ფოთისათვის დიდი განძია და როგორც სპეციალური სახელოსნო—მეტად სასურველი.

ჩვენ განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხსენებული სკოლა მეტად სიმპატიურია და სასარგებლოც იქმნება, თუ მას მომავალშიაც სათანადო ყურადღებას მიაქცევენ. მართალია, აქ კლასიკურ ცოდნას მცირედს მიიღებს მოწაფე მაგრამ, ეს როგორც სპეციალური სკოლა და როგორც ზევითაც ვსთქვით ხელმისაწდომი ღარიბთათვის, საშუალებას აძლევს მათ სპეციალურ ხელობის შესწავლისას, რომ უზრუნველ ყოფილი იქმნან ცხოვრების არსებობისათვის.

ვუსურვებთ სკოლას წარმატებას...

**ქრიჭინა.**

## იტალიისა და ოსმალეთის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი.

20 სექტემბერი.

**რომი.** „ტრიბუნას“ კორესპონდენტი, რომელიც ტრიპოლიდან 17 სექტემბერს წამოვიდა, იტყობინება, იტალიელებმა ქალაქი იმიტომ დასტოვეს, რომ იტალიელების ესკადრის უფროსმა განაცხადა, ყუმბარებს დავუშენთ ქალაქს ალყის შემდეგაო. მართლაც, კრეისერ „გარიბალდის“ მოსვლის შემდეგ ნავთსადგურში აფიცერი მოვიდა, რომელიც შეატყობინა, ალყა დაიწყო და შეიძლება ყუმბარებიც დავუშინოთო.

**სტამბოლი.** მთავრობის განკარგულებით დაიხურა ბანკ დი-რომას განყოფილება. „ოტტომანის სააგენტო“ იტყობინება, იტალიელებს რამდენიმეჯერ უნდოდათ პრევეზას გადასვლა, მაგრამ ვერ მოახერხესო.

საზღვაო მინისტრმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვა,-ფლოტის დამარცხებამ ჩემი უხეირობა დაამტკიცაო.

ინგლისის ელჩმა და საფრანგეთის რწმუნებულმა პორტას ნოტა გადასცეს, საქმეში ვერ ჩავერევითო. თუ ოსმალეთი აზრს შეიცვლის, შეგვიძლიან იტალიას გადავცეთ ეგ ამბავიო.

**სტამბოლი.** „ტანინი“ იუწყება, იტალიის რწმუნებულმა დე მარტინიმ განაცხადა, იტალია საომრად გერმანიამ წააქეზა, ოსმალეთი თვალსაჩინოდ ძლიერდება, მე, როგორც მის მოკავშირეს, ამ აზრის შეჩერება არ შემიძლიან და შენ შეუშალე ხელიო.

ოტომანის სააგენტო იტყობინება, ტიტტონის განცხადება, ვითომ ნაღმოსნების შემწეობის სავაჭრო გემების დატყვევება განეზრახოს და ეს ნაღმოსნები იტალიას შეემუსროს, ტყუილია; ნაღმოსნები ომის გამოცხადების რამდენიმე საათის წინაც იტალიის გემებმა დაჰლუპესო.

მინისტრთა საბჭომ ითათბირა მაგრამ ვერ გადასწყვიტა, შესადარებლად იტალიას რა პირობები წარუდგინოს.

დარდანელს მისული ოსმალეთის ესკადრა 2 ჯავშნოსნისა, 3 კრეისერისა, ხუთი ნაღმ-მოუკარებელი გემისა და 1 საბარგო გემისაგან შესდგება, გემები დაუზიანებელია.

ახალ ვეზირის—საიდ-ფაშის მდგომარეობა უნუგეშოა: ახალ კაბინეთს ყველა ერიდება, ძველები უარს ამბობენ.

აფიცრები აღელვებულნი არიან. სამხედრო მინისტრმა ტრიპოლის დაცვის საქმე კარგად ვერ მოაწყოო.

სერბიამ გამოაცხადა, სრულს ნეიტრალიტეტს დავიცავ ბალკანეთშიო. ნოტამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

**სალონიკი.** რადგან დეპუტატები პარლამენტში მალე უნდა შეიკრიბნენ, ახალგაზდა ოსმალთა კონგრესი დაიხურა.

**სტამბოლი.** პარლამენტი 24 სექტემბერს შეიკრიბება. ახალი კაბინეთის მინისტრთა სია ქალაქში გავრცელდა. ჯერ ისევ ძველები მინისტრობენ.

**ვენა.** გაზეთები შიშობენ, ვაი თუ ალბანეთი აჯანყდესო. ცნობებიც არის,—იტალია დიდძალ იარაღს ეზიდება იქითკენ, მხოლოდ არ იციან, ჩერნოგორიისთვისა თუ ალბანეთისთვისაო.

**მალტა.** ტრიპოლისთან იტალიელებმა ოსმალეთის გემი „დერნა“ დაღუპეს.

**ბერლინი.** „კელნ. ცაიტ.“ იტყობინება, სანამ ომი არ გაცხარდება, იტალია მოლაპარაკებას არ დაიწყებსო. ასე თუ ისე, ტრიპოლის უიქველად დაისაკუთრებსო.

**ხოუგემპტონი.** მთავრობამ ოსმალეთისათვის დამზადებულ-აგებული ოთხი გემი დაატყვევა.

**სტამბოლი.** მთავრობამ განკარგულება გასცა, უცხოელთა გემებს საწყობიდან ქვა ნახშირი არ მიჰყიდოთო. ოსმალ-ბულგართა სავაჭრო ხელშეკრულების საქმე დროებით შეაჩერეს; სოფიიდან ახალ ინსტრუქციებს ელიან.

**ბერლინი.** იტალიის გარემოების ახსნამ გერმანია დააკმაყოფილა. იმედია, იტალია ისეთს შეცდომას არ ჩაიდენს, პრევეზასთან რომ ჩაიდინაო.

**ტოკიო.** იტალიისა და ოსმალეთის ომში, იაპონიამ თავი ნეიტრალად გამოაცხადა. ეშინიანთ, ვაი თუ 80 მილიონიან სატრამვაიოთ სესხის აღებას ხელი შეუშალოს ამ ომმაო. სესხი ლონდონში უნდა აეღოთ.

**ვენა.** „ნეიე-ფრეიე-პრესსე“ სწერს,—იტალიამ ტრიპოლის ფაქტიურად ხელში ჩაგდების შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება, რომელიც ავსტრიისა და გერმანიის რჩევის ნაყოფიაო. ბალკანეთის სახელმწიფონი დიპლომატთა გავლენის ქვეშ იმყოფებიანო.

**ათენი.** ბერძნები ამბობენ, მშვიდობიანობას დავიცავთ, თუ რაიმე საფრთხე არ გამოგვიჩნდაო.

**ვენა.** „ნეიე ფრეიე-პრესსე“ იუწყება, ტყუილია, ვითომც ავსტრიის ესკადრა ისტრიის ნაპირთან იყოს და იტალიის ფლოტის ამოქმედებას უცდიდესო. იგი აღმოსავლეთს კი არა, დასავლეთ ისტრიასთან არის და ჩვეულებრივი ალლუმი აქვსო.

### გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

**კრიტის ბედი.**

ამბობენ, თუ კუნძული კრიტე ოსმალეთს ჩამოჰშორდა, ინგლისს განზრახვა აქვს თავის სამფლობელოდ გამოაცხადოსო.

**„ნოვოე ვრემიას“ ცნობა.**

„ნოვოე ვრემია“ იუწყება, დიდ სახელმწიფოებს ოსმალეთის გასანაწილებლად გეგმა აქვთ გამომუშავებულიო. დიპლომატები ამბობენ, დანაწილება კი არა და, ამპუტაცია შეიძლება მოხდესო.

**რუსეთის როლი.**

ოსმალეთის ელჩ თურხან-ფაშისათვის რუსეთის გარეშე სამინისტროს გამგე ნერატოვს უთქვამს, რუსეთი თავდებია, რომ ბალკანეთში წესიერება არ დაირღვევაო.

**ავსტრიის პროტესტი.**

ხმა გავარდა, ავსტრია იტალიას პროტესტის გამოცხადებას უპირებს, ალბანეთში იტალიელებმა რად დაიწყეს საომრო ოპერაციებიო.

**პორტას განზრახვა.**

პორტას განუზრახავს ჯარის ყველა კორპუსის მობილიზაცია გამოაცხადოს.

ტრიპოლის კომენდანტს ებრძანა, იტალიელებს ქალაქი არ დაანებოს, და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს.

ოსმალეთის ესკადრას ნავთსადგურ პრევეზიდან გამოსვლა უნდოდა, მაგრამ იტალიელების კრეისერებმა იერიში მიიტანეს და ზარბაზნებით სამი ნაღმოსანი დაუზიანეს.

ტრიპოლიდან ამბავი მოსულა, იტალიის ფლოტს სიმაგრეებიდან ესვრიან და ორი ბარკასი ჩაძირესო.

**800 კაცის დაღუპვა.**

რომში, თურმე, ხმა გავარდა, როდესაც ტრიპოლის ყუმბარები დაუშინეს, იტალიის ჯავშნოსანი „ამედეო“ წყალქვეშ დადებულ ნაღმს წააწყდა და აფეთქებული ჩაიძირა. მასთან 800 კაცი დაიღუპაო.

**იტალიისა და საბერძნეთის პირობა.**

იტალიასა და საბერძნეთს ხელშეკრულება დაუდვიათ თურმე: თუ საბერძნეთი იტალიის ხელსაყრელ ნეიტრალიტეტს დაიცავს, იტალია საბერძნეთს კრიტეს დაჭერაში უნდა დაეხმაროს.

**ეგვიპტეს ანექსია.**

ლონდონში ხმა გავარდნილა, ამ დღეებში ეგვიპტის ანექსიას გამოაცხადებენო.

**ინგლისის ესკადრა.**

ინგლისის ესკადრამ ბრძანება მიიღო, ეგეის ზღვაზე გადი, დარდანელთანაო.

**პავილიონის დაწვა.**

ტურინის მსოფლიო გამოფენაზე ოსმალეთის პავილიონი დამწვარა. ეჭვი აქვთ, ვინმე განზრახ წაუკიდებდა ცეცხლსაო.

**ალბანელების მოთხოვნილებანი**

კოსსოვისა და სკუტარის ოლქის ალბანელთა მეთაურებს გადაუწყვეტიათ, ოსმალეთის მთავრობას ავტონომია მოვთხოვოთო.

## უცხოეთი

„ტიმესს“ ლონდონში ატყობინებენ: „ოსმალეთმა საბერძნეთს ულტიმატუმი წარუდგინა, კუნძულ კრიტეს სულ მოცლად თავი დაანებეო. ულტიმატუმის ვადა ჯერ არ იციან“.

თუ ბერძნებმა ოსმალეთის მოთხოვნილება არ აასრულეს, უკანასკნელი თესალიის საზღვარზე საომარ სამზადისს შეუდგებაო.

ვენის დიპლომატები ჰფიქრობენ, ოსმალეთს ამით ჰსურს ბალკანეთის სახელმწიფოებს უთხრას, ტრიპოლის საქმე ჩემს სამფლობელოს დაცვას ვერ დამიშლისო.

**ალბანელები.**

„ნეიე-ფრეიე-პრესსე“ იტყობინება, ალბანეთში იტალიიდან დიდძალი იარაღი მოვიდა. ამიტომ ალბანელების აჯანყებას უნდა ველოდეთო.

**ინგლისელთა აზრი.**

„დეილი ნიუს“ იტალიის გულისწყრომას უცხადებს: ამნაირად, რანაირადაც იტალია ტრიპოლს ჰქცევს, საფრანგეთს შეუძლიან იტალიის ნაწილი, წინეთი, ამოსავალეთი ლომბარდი, იაპონია და ავსტრალია დაიჭიროსო. დასასრულ, საგონებელში ვარდება, ვაი, თუ ისლამის ბრძოლა დაიწყოს ქრისტიანობასთანაო.

**მალისორების მოძრაობა.**

ოსმალეთის მთავრობამ მალისორებს დაპირებანი არ აუსრულა, ამიტომ მათ დიდი უკმაყოფილება ეტყობათ. მთავრობა კლიმენტის თემს, სიმინდს აძლევს, სხვა თემებს იჯარა დაუკლო. გარდა ამისა, მთავრობა ფულს არ იძლევა იმ სადგომების შესაკეთებლად, რომელიც ჯარმა დაანგრია, პარლამენტმა უნდა გადასდვას საამისო თანხა, ის კი ჯერ არ შეკრებილა.

მალისორები ამბობენ, თუ ეგრე მოთხოვნილება არ აგვისრულეთ, ჯარში წვევანი არავინ გავაო.

აწიოკებული, დამშეული, უბინადრო ხალხი სასოწარკვეთილია. სკუტარში უცხოელთა ელჩებს დელეგაციები მისდის, გვიშველეთო. გუბერნატორებთან მოლაპარაკების შემდეგ ელჩებმა მალისორებს ურჩიეს, მოითმინეთო. ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს. მოსალოდნელია საქმის გამწვავება.

**უწესოება პრიშტენში.**

მთავრობამ ამას წინად რამდენიმე მაჰმადიანი დააპატიმრა. უშველებელმა ბრბომ მათი განთავისუფლება მოინდომა. დაიწყო სროლა. დაპატიმრებულნი განთავისუფლეს. ხალხი სროლით პოლიციელთ დაედევნა. დაჭრილ-დახოცილი ბევრია.

**შემაძრწუნებელი ამბავი.**

პეიანგის პროვინციაში (ჩინეთშია), შიმშილობაა. ამის გამო მცხოვრებნი ბავშვებს წყალში ისვრიან დასარჩობად. ბავშვებს მისიონერები შველიან და მათთვის სახელები თავშესაფარი გამართეს.

**გაფიცვა ირლანდიაში**

ირლანდიაში მუშათა გაფიცვამ მოულოდნელი ხასიათი მიიღო. დამარცხებულმა მუშებმა მოთხოვნილებანი უკან წაიღეს და მუშაობას უნდა შესდგომოდნენ, რკინის გზის მმართველობამ ნება არ მისცა. მუშებმა მუშაობაზე გადაჭრილი უარი სთქვეს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 სექტემბერი.

**სპარსეთის ამბები**

**თეირანი.** სალარ-დოულე, რომელმაც უკან დახევის დროს 5 ზარბაზანი დაჰკარგა, ქამადანში მაგრდება. მთავრობამ ჯარს უბრძანა, ქამადანი აიღეთო.

**საზღვარ-გარედ.**

**რამბულიე.** ფალიერი ტულონს წავიდა, „ლიბერტეზე“ დაღუპულთა დამარხვის დასასწრებლად.

**ანტვერპენი.** მდ. შელდაში ბევრს გემს პოულობენ, ბრუნისზე მებადურთა ფლოტილია დაიღუპა.

**კოპენჰაგენი.** სამინისტრო ლუდსა, თამბაქოსა და ღვინოზე ბაჟის მომატებას ჰფიქრობს, რადგან მომავალ წლის ხარჯში $11^{1}/_{2}$ მილიონ დეფიციტი აღინიშნა.

**სანტ-იაგო-დე-კომპოსტელიო** (კორუნია). პორტუგალიელ შეთქმულთა მეთაური კაპიტანი პაივა-კონსეირო 400 შეიარაღებულითურთ, რამდენიმე ზარბაზნითა და ტყვიის-მტყორცნელით და 120 ცხენით საზღვარზე გადმოვიდა.

**ბერლინი.** ჰფიქრობენ, სანტ-იაგო-დე-კომპოსტელიიდან მოსული ამბავი იგივეა ლისაბონიდან რომ შეგვატყობინეს—შეთქმულნი უკუაქციეთო.

**ლისაბონი.** ხმა გავარდა, როიალისტთა რაზმს საზღვარზე, შავერსასთან, გადმოსვლა უნდოდა, მაგრამ უკუაქციეს. მოკლულია მოხელე. ენტრო-კამინტოში შეთქმულთ ხიდის აფეთქება უნდოდათ. სანტ-ირსოს მცხოვრებთ როიალისტური დროშა აღფრიალეს.

**რიო-დე-ჟანეირო.** ბლუმაუში წყალდიდობაა. მცხოვრებნი უსახლ-კაროდ დარჩნენ.

**ამსტერდამი.** მდინ. დორდრეიტსა და გერმანიის ზღვაზე 45 ნავი მგზავრებიანათ დაიღუპა.

**ვენა.** იმპერატორმა დღეს ერენტალი და რომში მყოფი ავსტრო-უნგრეთის ელჩი მიიღო.

**ლისაბონი.** მთავრობა უარჰყოფს იმ ხმებს ვითომც მონარქისტთა რაზმი პორტუგალიაში შეჭრილიყოს.

**შ ი ნ ა**

**პეტერბურგი.** მფრინავი ვასილიევი მონოპლანიდან „დუქსით“ აფრინდა, მაგრამ უხერხულ მობრუნებისას 20 ადლის სიმაღლიდან ჩამოვარდა. მანქანა დაიმსხვრა. ვასილიევმა ფეხი მოიტეხა.

**პეტერბურგი.** მფრინავმა ვასილიევმა მარცხენა ფეხი მოიტეხა, ერთი ნეკნი, ხერხემალი და სახე დაიშავა. სიკვდილს გადარჩა, რადგან ხუთი არშინის სიმაღლეზე საფრენიდან გადმოხტა.

**რ უ ს ე თ ი.**

**კიევი.** ფრანგ აგრონომთა და ტეხნიკოსთა ექსპედიციამ პოლონეთი და სამხრეთი მხარე დაათვალიერა. აღნიშნა შაქრის წარმოების გაფართოება. საქმის მექანიკური მხარე მოიწონეს, ქიმიური კი არა.

**პეტერბურგი.** პალატამ ორის წლის ციხე გადაუწყვიტა წიგნის გამომცემელ გლაგოლევს, რომელმაც ტროცკისა, პარკუსისა და მიაკოტინის ბროშურები გამოსცა.

**გომელი.** ქალაქთან მდებარე სოფელი ვოლოტოვო გადაიწვა.

**განჯა.** ნუხის მაზრაში ყაჩაღებთან სროლის დროს, ჩაფრების უფროსი მოჰკლეს.

**კიევი.** გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომლითაც სამხრეთ მხარეში მცხოვრებთ უკრძალავს ყოველგვარ იარაღის ტარებას.

**მინსკი.** გუშინ, ჩერნიავსკის ახლოს, ბორისოვის მაზრაში. ორმა შეიარაღებულმა სახაზინო არყის დუქნების ფულის მგროვებელს 5410 მანეთი წაართვა.

# თეატრი და ხელოვნება

**სახაზინო თეატრი.** ბ. ი. ფალიაშვილის ანტრეპრიზის პირველი კვირა დასრულდა. ამ ერთმა კვირამ, სამწუხაროდ, დაგვიმტკიცა, რომ წლევანდელი საოპერო დასის შედგენილობა არამც თუ არა სჯობნის ადრინდელს, ბევრითაც ჩამოუვარდება. რასაკვირველია წრეულსაც არიან დასში ხეირიანი მომღერლები; მაგალ., ალეშკო, შულგინა, კნიაგინინი, ევლახოვი, საკოლსკი და სხვა, მაგრამ თითო-ოროლა კაცი დასის მთლიანობისათვის საკმარისი არ არის. თუ ანსამბლი ხეირიანი არ არის, თითო ოროლა კარგი მოაღერალი ვერას გახდება, შთაბეჭდილება მუდამ ცუდი იქნება, უნდა დაუმატოთ, რომ თუ ხეირიანი მომღერლებია წელს დასში, მათაც შედარებით წინა წლებთან უკან სვლა ეტყობათ. ქალ. ქ. შულგინას კვლავინდებური ფაქიზი ხმა აღარა აქვს; როდესაც კრინით მღერის, არა სასიამოვნო ხრიალიც ამოჰყვება ხოლმე და მაღალი ჰანგების აღებაც ეძნელება. ასევე ემართება ცნობილ მეცურინსაც, რომელსაც არც დაბალ ფარდებში უვარგა ხმა და არც მაღალ რეგისტრებში.

გუშინწინდელმა ფაუსტმა კი სრულიად ვერ დაგვაკმაყოფილა. ქ. როსტოსკაიას ასეთ რთულ როლისთვის, როგორცაა მარგარიტა, არც ხმა, არც სიმღერის უნარი და არც თამაშობა არ შესწევს. თანაც ერთი დიდი ნაკლი აქვს ამ მომღერალ ქალს, თითქმის ყოველ არიას ნახევარ ტონით დაბლა ან მაღლა იღებს. ასეთივე ნაკლი აქვს ბ. პოლევოისაც, (ფაუსტი.) ამ მომღერალს საკმაოდ ძლიერი ხმა აქვს, მაგრამ თავისი პარტია მაინც უფერულად ჩაატარა. ბ. მოზჟუხინმაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ვერც საკმარისი ხმა გამოიჩინა და ვერც თამაშობა. „ბეჭედის“ სიმღერის დროს დაბალი ნოტები სრულიად ჩაყლაპა. მაღალ რეგისტრებში კი უფრო ყვირილი ისმოდა, ვიდრე სიმღერა. ბ. ლიუბჩენკოც სუსტი ვალენტინი იყო. „ვალპურგის ღამემ“ კვლავ დაგვიმტკიცა, რომ წრევანდელ დასს კარგი ბალეტი არა აქვს, თუ მხედველობაში ბ-ნ რომანოვსკის არ მივიღებთ.

**სო—ლი**

**ქუთაისი.** 18 სექტემბერს წარმოდგენილმა ა. ჩეხოვის „ძია ვანო“-მ ქალაქის თეატრში დიდძალ საზოგადოებას მოუყარა თავი. სამწუხაროდ, წარმოდგენამ ნაკლები შთაბეჭდილება იქონია საზოგადოებაზე და ვერ დააკმაყოფილა მისი ესთეტიური მოთხოვნილება. და ეს არც გასაკვირველია: ანტონ ჩეხოვის პიესები საზოგადოდ და განსაკუთრებით „ძია ვანო“ ქართველ საზოგადოებისათვის რაღაც შეუფერებელია; ქართველის გულის სიღრმეს ვერ აღწევს პიესების ტრაგიზმი; ქართველი მსმენელი სცენაზე ჰხედავს მშვენიერ სურათებს. მოქარგულ სიტყვებს, მაგრამ ჰხედავს მხოლოდ თვალით, გული კი არაფერს განიცდის, თითქო ის სრულიად დახშული იყოს. ჩეხოვის პიესების შეგნება, შესისხლხორცება მხოლოდ რუსს შეუძლიან, ნამდვილ რუსს, რომელიც ჩეხოვთან ერთად განიცდის რუსის ხალხის სულის-კვეთებას. უთუოდ ამით აიხსნება, რომ ქართველი მსმენელი ვერ კმაყოფილდება ჩეხოვის პიესების წარმოდგენით და თეატრში იქ, სადაც ტირილი უნდა ისმოდეს, სიცილი გესმით. „ძია ვანო“ მ შესრულების მხრივაც ვერ ჩაიარა სასურველად. ბ-ნს ქორელს (ივან პეტროვიჩი) და ქ-ნს გამრეკელს—ტორელს (ელენე ანდრეევნა) შეუფერებელი როლები ჰქონდათ.

ეს წარმოდგენა საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ მან ქუთაისის სცენას შესძინა ერთი ახალი ძალა—ქ-ნი გამრეკელი ტორელი. ეს ახალგაზდა მსახიობი, ჩვენის ფიქრით, ქართულ სცენაზე საპატიო ადგილს დაიჭერს: მისი მშვენიერი, მოქნილი, სასიამოვნო ხმა და თავისუფალი, ბუნებრივი მიხვრა-მოხვრა დახელოვნებულ მსახიობსაც კი თამაშს დაუმშვენებდა; საჭიროა მხოლოდ, რომ თვალებს ნაკლები ძალა დაატანოს და იქაც არ ატრიალოს, სადაც ამას საჭიროება არ მოითხოვს.

საჭიროა, გრიმს მეტი ყურადღება მიექცეს, რომ მსახიობთ ცხვირები სკამებს ქვეშ არ გაუხდეთ საძებრათ, რაც თეატრში დაუსრულებელ ხარხარს იწვევს.

**დ. ქიათურა.** კვირას 18 სექტემბერს შალიკაშვილის რეჟისორობით და მონაწილეობით ითამაშეს „განწმენდის სასახლე“ (დრამა 3 მოქმ. შოთა დადიანისა) და ვოდევილი „უბედური დღე“.

პიესა არ არის მხატვრული ნაწარმოები. ჩემის აზრით ეს პიესა შეიძლება ჩაითვალოს „სიმახინჯის“ (შიუკაშვილისა) გაგრძელებად. იოსები შალიკაშვილი უმთავრესი გმირი პიესისა მახინჯი, ყოველ მხრივ დაჩაგრული, მაგრამ არა უნიჭო ადამიანი, თითქმის მუდამ დღე იტანს დამცირებას ყველასაგან. მამა მისი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის რთავს თავის შვილობილს სიცოცხლით სავსე და ბუნებისაგან შემკულ არსებას, ანნას (ლოლუა.) ამ ქორწინებამ უფრო გააბოროტა იოსები. ის სწერს მთელ თხზულებას, სადაც ეხება სიმშვენიერეს და სიმახინჯეს „მახინჯნი არ უნდა იბადებოდნენ ქვეყნიერებაზე და, თუ დაიბადებიან, უნდა მოისპონ“, ამბობს იოსები. ai უმთავრესი დებულება მისი თხზულების შინაარსისა და მისი შეხედულება ამ საგანზე. თავის თეორეტიული დასკვნა უნდა პრაქტიკულად განახორციელოს. „ჩემი შვილიც მე დამემგვსავსება“,—რის გულისთვის იგი თავის ახალ დაბადებულ ბავშვს „განწმენდის სასახლიდან“ ისვრის თვალ უწვდენელ ხრამში. მისი პირველი ნაბიჯი გადადგმულია. დღეობაში მიპატიჟებული იოსების ცოლი ბალში დროს ატარებს საყვარელ ლევანთან. აქ შეჰხვდებათ მახინჯი იოსები. უამბობს შვილის დაღუპვას, ცოლი შეკრთება. იმ წამშივე ეუბნება: „არც შენ მიყვარდი და არც შენი შვილიო“. იოსები იძრობს ბეჭედს და აძლევს მის საყვარელ ლევანს. „ჩემი ცოლი შენთვის დამილოცნიაო“. ამის შემდგომ მიდის იმ „განწმენდის სასახლისკენ“, სადაც ოდესღაც ჟვი-სენით შეპყრობილი ცოლ ქმარნი უფსკრულში გადაცვივნულან, და თავს იკლავს.

აი მოკლეთ პიესის შინაარსი. პიესა მაინც და მაინც ღრმა აზრებით არ არის სავსე, შინარსით სუსტია, მხატვრულის მხრივ კი მეტად მდარე. ბევრია ლოღიკური ნაკლოვანებიც.

უმთავრეს როლს თვით შალიკაშვილი ასრულებდა. უნდა ვთქვა, რომ იგი შეუდარებელი იყო. იგი მშვენივრად თამაშობდა და მისი ცოლი ანნა (ლოლუა) ხელს უწყობდა. დანარჩენები არ იყვნენ თავიანთ ქერქში. აი ეს მესამე წარმოდგენა მიდის და ვერ ვხედავ იმას რასაც ანსაბლს ეძახიან. ჩემის ღრმა რწმენით საჭიროა კარგი ანსამბლის შექმნა, თორემ თითო ოროლას კარგი თამაში საკმარისი არ არის გრიმები, როგორც წინა წარმოდგენებში, ეხლაც ბევრს შეუფერებელი ჰქონდა. მხატვრულათ დადგმას უნდა მიექცეს ყურადღება; თუ ვერ მოახდენენ კარგ სინათლის ეფექტებს, საჭირო არ არის ცუდი ეფექტების მოხდენა. ქუხილის დარახუნება და უცბათ ჩაბნელება მხოლოდ სიცილს იწვევს მაყურებლებში და სხვა არაფერს, მეორეც ვოდევილში ნახევრად ჩამოშვებული ფარდა ისევ ასწიეს და განაგრძეს თამაში. დროა ამნაირ არევდარევას ბოლო მოეღოს და დაიდგას უფრო შინაარსიანი და მხატვრული პიესები. შედარებით ეს პიესა გაცილებით უკეთ ჩაატარეს, ვიდრე „სიმახინჯე. თეატრი ხალხით სავსე იყო. საქალაქო სკოლის მოწაფეთ მასწავლებელთან ერთად განსაკუთრებული ალაგი ეჭირათ. კარგი იქნება თუ ამ მაგალითს საქალებო სკოლაც მიჰბაძავს.

**დოხაბური.**

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ მღვდელს ილარიონ ანთიმოზის ძე მგალობლიშვილს, რომელმაც ერკეთის ორკლასიან სამინისტრო სკოლის ასაგებად 90 შემოსწირა.

**სამზრუნველოს მონდობილებით გრიგოლ მგალობლიშვილი და გიორგი ანთიძე.**

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი გაზეთის მე-356 ნომერში სოფ. ტობანიერიდან მოთავსებულია ბ. კეკელიძის წერილი, რომელიც ამგვარ ეპიტეტებით მამკობს „ნასალდათარი“, „ყაზარმაში აღზდილი“ და სხვა; ვითომ მე ხალხს ვატყუილებდე და ჯანით ექიმათ მომქონდეს თავი. ბ. კეკელიძევ! საზოგადოდ ექიმობის მხრივ სოფელი რომ მივიწყებულია, მეც დაგეთანხმებით, მაგრამ ამაში დიპლომიან ექიმებს მიუძღვისთ დანაშაული და არა ყაზარმაში აღზდილ ფერშლებს. რაც შეეხება იმას, რომ მე საჭიროების დროზე მომმართავენ და მეც შეძლებისდაგვარად ვეხმარები, ამაში მგონი გასაკიცხი არავარ. ექვსი წელიწადია ფერშლობას ვეწევი და ხალხსაც ალბად ერთგვარი აზრი აქვს ჩემზე.. არა ერთი და ორი მაგალითი იყო, რომ კაცი დაიჭრა, სისხლისგან იცლებოდა და ექიმის სიშორის გამო მე მიმიცია მისთვის შესაფერი დახმარება; და რომ არ დავხმარებოდი?!

თუ „იურისპრუდენციის“ ანბანი იცით, ადვილი მისახვედრია, დალოცვილო ჩემზე, რომ ამხედრდით, რატომ თქვენ მეზობელ ოკრიბელ ქალზე, რომელიც ადამ და ევის დროინდელ კარაბადინით ექიმობს, არაფერსა სწერთ?!

**ნ. ფეტვარიძე.**


# განცხადებანი

**მუხრანის ქარქი**

**სამკურნალო**

მუდმივის საწოლებით.

**Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.**

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

**გ. მ. გოგიბერიძე**—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

**მ. კ. ითხელიანი**—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევ რიდან 11 ს.

**მ. ლ. შტრეიხერი**—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ლ. გ. ხაყვერლიძე**—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

**იაშვილი**—შინაგან, 1—2 ს.-დე.

**გ. ბ. მელკონიანი**—ქირურგ., 12—1 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

**გ. ა. ახვერდოვი**—შინაგან, 12 ნახ.—1 ნახ. ს.-დე.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. 12 ნახ.—1 ს.-დე.

**ქ-ნ შ—ქბილისა**, 8—10 ს.-დე.

**ლ. მ. მონინი**—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) **„606“-ით.**

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—145

**სწრაფად გამგზავრების გამო**

**იყიდება სანოვაგის დუქანი**

**(ბაკალეინი)**

მარჯვე ადგილას. იკითხეთ ამაღლების ქუჩაზე, სახლი ოსიპოვისა, № 43. მოსულაშვილთან. (3—844—1)

**გამოვიდა და იყიდება**

ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში, ხოხიკო მერკვილაძესთან, საქართველოს ყველა ქალაქებისა და დაბების წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე სადგურებზედაც

**ალ. თუთაევის**

ახალი თხზულება:

**„მ ე ო რ ე კ ა ე ნ ი“,**

დრამა სამ მოქმ.

და ეპილოგი. ფასი 30 კ. იქვე იყიდება ამავე ავტორის შემდეგი პიესები:

„ცოლი ვიტირო, თუ ფული“, ფასი 15 კაპ.

„უმარილის ბრალია“, ფასი 10 კ.

„ბედმა მილალატა“, ფასი 20 კ.

„უშნო არშიყი“, და გოდფდეი „სოფლის“ 20 კ. ყველა პიესები ნებადართულია წარმოსადგენად. (10.1397.10)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუდლინი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეკტაბეგინცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ქალ. ექიმ. ბ. ხ. ზილბერმაცი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. მ. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგახაროვი:** $1^{1}/_{2}$—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერმაცი:** 6—6 ნახ.-ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. ბეიესკარა-ენგელი:** 6—$6^{1}/_{2}$ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარცაშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტაციურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ. (1168—187)

**სამკურნალო კაბინეტი**

**ექიმ კ. ს. ფონ-ირეტელისა**

(ელისაბედის ქ., № 17, ცირკის მისახვევის პირდაპირ).

სპეციალისტი-ქირურგი (სიმსივნობა), საშარდე ბუშტისა, მილისა, თირკმლებისა და სახქესო ორგანოთა (უდღობა, ნერვიული სისუსტე, ჩუკუნების მეტი), ათაშანგისა და მის შედეგთა, (ერლიხის „606“-ის ხმარებით და ბერლინის კლინიკათა სხვა საშუალებით), ვენერიულ ავადმყოფობათა (სუსუნატისა და მილის დავიწროვების წამლობა), კანის სნეულებათა წამლობა ელექტრონით და ოპერაციები.

ავადმყოფთა მიღება დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 ნახ. საათამდე. ქალთათვის ნაშუადღევის 2—3 საათამდე. (25.1505.6)

**ძ. თილაშვილისა**

იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

**ჭრა-კერვის წიგნი**

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Тѣлавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—70)

**საბუღალტერო კურსები**

**გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა.** ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

კანცელარია ღია საღამოს 4—6 ს. **სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** (25.781.21)

**გამოცდილი მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, სამერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასის ჩასაბარებლად.** დებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ **სრულ ხარჯზედაც, პანსიონში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 28, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—33)

**ჭრა-კერვის სკოლა და სახელოსნო**

**ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს**

**შ ე ს ა კ ე რ ა დ.**

**ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს.**

(წყნეთის ქუჩაზე, № 17, ვერაზე),

(10—803—5) **გამგე ანა მერკვილაძისა.**

**გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:**

| | | |
|---|---|---|
| არჩილ ჯორჯაძისა: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“, | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივობა“. . . | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი“ . . . . . . . . . . | ფ. 65 კ. |
| Bato n-ისა: | „ერი და კაცობრიობა“ . . . . . | ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. ყიფიანისა: | „ხამგვრელოს მთავარი ლევან“, ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| ნ. შიუკაშვილისა: | „მეგობრობა“, 4 მოქმ. დრამა . . . . . | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

**სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ**

**ძმ. ძეგველოვების**

**● მ ა ღ ა ზ ი ა ●**

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 9, ტელეფონი № 712,

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).**

**ყოველ დღე ცხელი ლოფში.**

საუკეთესო პაიუსი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 20 კ.

**ახალი კეტოვი ხიზილალა**

აგრეთვე მივიღეთ საუკეთესო ღირსების სელიოდკები სამეფო, დუნაისა, რიგისა და ქერჩისა.

(წ.—1052—)


სტამბა „სორაპანი“, მიხეილის ქუჩა

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.